№ 3
ხუთშაბათი 5 იანვარი 1895

1877—1895

# ივერია

ხუთშაბათი, 5 იანვარი

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

**გამოფენა**

ჩვენის დროისათვის ორის უდიდესის საკვირველებისა

1) **ქონდრის კაცები**

უველაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

**მარკიზ ფოლდა**, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით 9¹/₂ კილ.

**მარკიზა ლუიზა**, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით 10¹/₂ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი



ტუუპნი-დანი

**რადიკა და დოოდიკა**

ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა



გამოფენა დაიწყება კვირას, 1 იანვრიდგან და ღია იქნება ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის.

ადგილების ფასი: სკამები 40 კაპ., ფეხზედ დგომით 20 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარ ფასს.

(20—6.—3)

ქართული თეატრი

—

პარასკევს, 6 იანვარს, 1895 წ.

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობ." დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

**ორი ობოლი**

მელოდრ. 5 მოქ. 6 სურათად.

მონაწილეობას ღებულობენ: საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხ. ბ-ნნი სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მარჯანოვი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

შეგირდებისათვის ადგილები ლოჟების უკან 50 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: **„ვისი ბრალია,"** დრამა 3 მოქმ. და **„გაიყარნეთ"**, კომ. 3 მოქმედ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი

ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

## მთავრობის განკარგულებანი

—

უმაღლესად ბოძებულ უფლებით ერთგულის სამსახურისათვის ებოძათ კავკასიის მთავარ-მართებლისაგან მედლები შემდეგის ზედ-წარწერით: „გულმოდგინებისათვის". ოქროს მედალი ყელზედ სატარებლად: ანნას ლენტით: ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის ხოტევის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს სოფრონ გურგენიძეს; ვერცხლისა, ანნას ლენტით: ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის აკეთის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს ივანე ჩხარტიშვილს; ვერცხლისავე, სტანისლავის ლენტით: ქუთაისის მაზრის ჩიგანის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს პეტრე ფოცხვერიას, იმავე მაზრის, წყალთუბნის საზოგადოების მამასახლისს საბა (იგივე ივანე) მიქაბერიძეს; ქუთაისის გუბერნიის ლეჩხუმის მაზრის დუხვანის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს პეტრე თუთისიანს; ვერცხლისა, ანნას ლენტით: ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მცხეთის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს ივანე მაჩხანელს, ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის ფარახეთის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს შაქარა მაგრაყველიძეს, სოხუმის გუბერნიის და ამავე ქალაქის პოლიციის მმართველობის დეპუტატს სტეფანე თურქიას; ვერცხლისა, სტანისლავის ლენტით: ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის ურაველის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს მოსე ოქრომელიძეს; გორის მაზრის სოფელ საკორინთლოს ცხენოსანთ სადგურის ჩაფარს გასილ ჯარაშვილს, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მუხრანის სასოფლო საზოგადოების მამასახლისის თანაშემწეს სარქის ალავერდაშვილს, ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის საერო სადარაჯოს ურიადნიკს ათანასე მაყაშვილს, ქუთაისის მაზრის უხუთის სასოფლო საზოგადოებაში მამასახლისად ნამყოფს მიხეილ ხურციძეს, ამავე მაზრის ქვითირის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს მაქსიმე ნარჩემაშვილს, ქუთაისის გუბერნიის ლანჩხუთის მაზრის ლესაურის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს ფარნაოზ ურუშაძეს, იმავე მაზრის ნაგომრის სასოფლო დარაჯს სტეფანე ჩხაიძეს, იმავე გუბერნიის სენაკის მაზრის ქვათანის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს თეიმურაზ ჩოჩიას, ლეჩხუმის მაზრის ლეხვირის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს გიორგი მონდაძეს, რაჭის მაზრის წესის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს გლახა გერესელიძეს, ზუგდიდის მაზრის დ. ხორგის დეპუტატად ნამყოფს გასილ ფაჩულიას, შორაპნის მაზრის ხორაგაულის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს დათიკო ბუაჩიძის და სენაკის მაზრის დ. სურჯუნის დეპუტატად ნამყოფს ისაკა ეფრემაშვილს.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც გვაცნობებენ, მეორე კლასიკური გიმნაზია შვიდ იანვრიდგან გადადის ახალს, საკუთარს შენობაში, რომელიც ვერის ხიდს ახლო იმყოფება, წყლის პირა ქუჩაზედ. სწავლა ამ შენობაში გადასვლის დღიდგანვე დაიწყება.

*** პარასკევს, 6 იანვარს, ნათლის ღების დღეს, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში სწირავს, რომლის შემდეგაც კრებული ჯვრებს გამოასვენებს იორდანეზედ. წირვა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილის 9¹/₂ საათზედ დაიწყება, რომელსაც ყველა გენერლები, ობერ-ოფიცრები და სამხედრო წოდების სხვა-და-სხვა წარმომადგენელნი უნდა დაესწრნენ.

*** შარშან ჟურნალ „მ... ნომრებში იბეჭდებოდა პროფესსორ ვ. პეტრიაშვილის წერილები ღვინის დაყენების შესახებ. იანვრის წიგნში დაიწყო სახელოვანმა ავტორმა თავისი წერილები, დეკემბერში დააბოლოვა და ერთ ტრაქტატში მოაქცია ყველა, რაც-კი ღვინის მოვლასა და დაყენებას შეეხება და რასაც-კი მასთან რამე დამოკიდებულება აქვს. ქართველთა ამხანაგობას ყველა ეს წერილები ცალკე წიგნად შეერთებული გამოუცია და ამ ცოტა ხანში გასასყიდად დაურიგებს წიგნის მაღაზიებს. წიგნი ერთს საკმარისად მოზრდილ ტომად იქნება. სულ 500 გვერდამდე, სქემითა და სურათებით შემკული.

*** „მწყემსი" სწერს, რომ გუ...რნიის უფროსმა ხუროთ-მოძღვ... სხვა ხუროთ-მოძღვრებისა და გუბ...ნიის ექიმის თანადასწრებით დაათ...ლიერა არქიელის გორაზედ ციხე... ლოლობერიძის ადგილი. ჰაერის მხ... ორივე ადგილი მოიწონეს სემინარიის შენობის ასაშენებლად, მაგრამ ად... ...ლის მდებარეობით უფრო ლოლობ...

## ფელეტონი

—

**ორ ხმიანი საახალწლო**

ოპერეტი*)

**VII**

აკაკი

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭაღარა...
ტყუილს ვინ სჩივის? მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა.
ანტონმაც მე წინ გამიგდო,
გული დასერა, დაჰღარა...
რაცა ხარ, იმას გამხელო,
დაჰკრა ბუკი და ნაღარა.
მოვიმკვდარუნე მე თავი,
ვთქვი: აწ იტყვიან რასაო?
ვნახოთ,—რა ძაძას ჩაიცმენ,
როცა რომ მნახვენ მკვდარსაო?
ან ვით მაქებ-მადიდებენ
მე ქართველთ ერთგულ ყმასაო?
ან რას ეტყვიან პასუხად
მაგ ჩვენს კოჰლს ანტონასაო?
დავბერდი, დავჩაჩანაკდი
წვერი შემექნა ჭაღარა..
ჩემი მევე ვთქვი ქებანი,
სხვამ რომ არა სთქვა არარა.

*) იხ. «ივერია», № 2.

ვინც რომ გავკაწრე ბასრ ენით,
აწ აღარ მინდობს, აღარა...
ეხლა ბევრს ვნანობ,—ეს რად ვქმენ,—
რაღა თქმა უნდა, რაღა რა?

ხორო

გვიან-ღა ჰნანობს, თუ ჰნანობს,
ამაოდ დაშვრნეს ენანი:
წამხდარს საქმესა რას არგებს
მერმე-ღა თითზე კბენანი?
ნურვინ ემდურის სხვას ვისმე,
სოფელს ეს უდევს წესია:
მთესველი მარტო მას მომკის,
რაც უხნავს და უთესია.
იგი დიდ მანძილს ვერ გავა,
ტყუილ-უბრალოდ ჰშვრებაო,
ვინცა სოროში თავსა ჰყოფს,
კუდი-კი გარედ ჰრჩებაო.

**VIII**

მიხეილ მაჩაბელი

მე იგი ვარ, ვინც თიანეთს
გადალახა მთა და გორი..
თავი ყოლა ნუ ჰგონია
ვისმე ჩემი თანასწორი:
საცა გინდათ მე მგზავნიან,
გზაა მოკლე, თუნდა შორი!..
არ ვინ უვით ჩემისთანა
გრძლად მეტყველი ორატორი.
ორატორი მას არ ჰქვიან,
ვინც სადმე სთქვას ერთი, ორი,
გძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრას
და გაქირდეს ვითა ჯორი.
ვითა ცხენსა შარა გძელი
და გამოსცდის დიდი რბევა,
მართ აგრეთვე ორატორსა
გძელთა სიტყვათ ცუდად ბნევა,
უპრაგონო ლაპარაკი,
გულში ცემა, ხელთა ქნევა,
არ-დაღალვა, არ-დაქანცვა,
ოფლის წურვა, ოფლის ფრქვევა...
აჩუმებდნენ, არ დაჩუმდეს,
არ დაუწყოს სიტყვამ ლევა...
ნუ გეშინით!.. სტყუის, ვინც სთქვა,
მუნჯისაგან ყბედის ძლევა.
მეც ეგრე ვარ, როგორც მხედავთ,
ორატორთა კარგთა სწორი:
ვფქვავ, რაც ენას მომადგება,
თუნდ მართალი, თუნდა ჭორი...
არას ვნაღვლობ, თუ რამე ვთქვი
უმზგავსო და შორი-შორი,
არა ვტყდები, თუმცა ხშირად
ბურტყლს მადენენ, ვით გნოლს ქორი.

ხორო

ეგ ის არის, ვისც პორტფელი
იღლიას ქვეშ მუდამ სჩრია...
არც ბევრი რამ თვითონ არის,
არც პორტფელში რამ უყრია.
ბევრს მეტყველობს, ცოტას ჰფიქრობს,
არ მისდევს ცოდნას, მცნებასა,
და, ვით თვით სთქვა, აჰყოლია
ბურუსში ძაღლის ყეფასა.
რაც გინდ გძლად სთქვას, მაგის თქმულსა
ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
თვით არ დაშვრების, სმენლისა
ყურნი-კი დავალდებიან.

ფირუზა.

(შემდეგი იქნება)

## აზრი რუსულის ლიტერატურის შესახებ ფრანგის კრიტიკოსისა

(დასასრული[1])

რაც შეეხება რუსეთის მწერლებს, აქ ორს კითხვას უნდა მივაქციოთ ყურადღებაო, ამბობს ლემეტრი, ჯერ ერთი, გვეუბნებიან რუსეთის მწერლებმა გამოიგონეს და შემოიღეს მწერლობაში გრძნობა სიბრალულისა (pitiè) და თანაგრძნობისა, შეწყნარება გულ კეთილი მოპყრობა დაჩაგრულთა; მეორე, რუსეთის მწერლები მარტო ცხოვრების ზედაპირის გამოხატვით არ დაკმაყოფილდნენ მის სარჩულსაც მიაქციეს ყურადღება, ცხოვრების შინაარსს აკვირდებიან, მის გარემოებათა შეგნება იციან ნიადაგ „მსოფლიო საიდუმლოსათვის" ჰშფოთავენ და ჰფიქრობე (ეს ყოველივე ბ-ნ ვოგიუემ გამოსჩხრიკა რუსულს მწერლობაში, ... მწერლობის გავრცელებაში და გატაცების გამოწვევაში ბევრი... ლი უდევს იმის წიგნს რუსეთის მ...რლობაზედ: Le roman russe (18... შია გამოსული). თვით ფრანგ... იმას აკუთვნებენ რუსულის მწ... ლობის აღმოჩენას და საფრანგეთ საზოგადოებას მასთან გაცნობას.)

რუსეთის მწერლების სიბრალ...ლის თვალ-საჩინო დასამტკიცებელ მაგალითად მოჰყავთ დოსტოევსკი „დანაშაული და სასჯელიო", განაგრძობს ავტორი, და უფრო ამ რომანის ის ადგილი, სადაც სონია რასკოლნიკოვს კატორგაში წასვლას ურჩევს და ჰპირდება იქ წაყოლ... თა ერთად იტანჯონ და ტანჯვით თავისი ცოდვები შეიხანონ. ხოლო რასკოლნიკოვი-კი დაეცემა მუხლებზედ მის წინ და ეტყვის: „მუხლს ვიყრი შენს წინაშე-კი არა, მთელის კაცობრიობის ტანჯვის წინაშეო".

მეორე მაგალითს რუსეთის

[1]) იხ. „ივერია" № 2. დოსტოევსკის სიბრალული განსაკუთრებით მის „ეშმაკეულნი"-ში იხატება. მართალი გითხრათ, ამ თხზულების ავტორს არ ეკუთვნის, რომ სიბრალულის მოციქულად იწოდებოდეს.

...გილი აღმოჩნდა კარგი და ...ული.

*** **ნიგოითი**: დეკემბრის უკანასკნელ დღეებში ერთი საზარელი ამბავი მოხდა. ორი ძმა იხვებზედ სანადიროდ წავიდა. ნადირობის დროს ერთ-ერთს თოფი გაუვარდა, თითონვე მოხვდა და იქვე სული დალია. ამის დანახვაზედ მეორემ ყვირილი მორთო, შეგროვდა სოფელი და უბედურ ქვრივ-ოხერს დედას საყვარელის შვილის გვამი-კი მაუტანეს.

*** **ზაქათალა**: ერთს აქ მცხოვრებელს ქართველ გლეხის ილია ზარიძის ცოლს, 20 დეკემბერს, დილით სამის საათის განმავლობაში ეყოლა სამი ყმაწვილი, ორი ქალი და ერთი ვაჟი. პირველად დაბადებული, ქალი, დღესაც ცოცხალია, ორნი-კი დაბადების დღესვე დაიხოცნენ.

... **ხაშური**. ამ ერთის წლის ...ნად ბ-ნმა იოსებ ფანცულაიამ აქა...ურ სარკინის-გზო რუსულ სამკითხველოს შორის დააარსა ქართული განყოფილებაც, იმ აზრით, რომ ქართველებიც ჰკუის საზრდოს შეიძენენო. მართლაც, ბ-ნ ფანცულაიასავე წაქეზებით, როგორც იყო სამკითხველოში დაიწყეს სიარული ზოგიერთებმა. ...გრამ დანარჩენებმა, იმათ, რომელ...აც ლოთობა და დაფა-ზურნა უყვართ, პირველებს მწარე დაცინვა დაუწყეს: «ჰაი, თქვე სულელებო! წიგნების კითხვა რა თქვენი საქმეა! ჰკუაზედ შეიშლებითო». აბა ამის შესახებ ითქმის: „თითონ არ იყო ...მარიო, შიგ ჩაურიეს წყალიო“. მა...ლაც, უმისოდაც სუსტმა მკითხ...მა, ეს ლოთიბაშების სიტყვები ...რეს და სამკითხველოში სია...ი თავი მიანებეს.

---

**...ცდომის გასწორება** ასოთ-ამწყობ...აუდევრობის გამო გუშინდელს, 3 იან..., ნომრის ფელეტონში მოთავსებულის ორთავე წერილის სათაური შეცდომით არის დაბეჭდილი. უნდა იყოს: **ორხმიანი** და არა „**ორ ხმლიანი**“, როგორც დაბეჭდილია; მეორე წერილის სათაური-კი უნდა იყოს: „აზრი რუსულ ლიტერატურას შესახებ ფრანგის კრიტიკოსისა»

---

## ნაწყვეტი

—

მას დაუგმიეთ გუნდრუკი,
ვინც სხვის საშველად გნებულა,
ვის სხვისა ნაკლი თვის ნაკლად
უცვნია, დაღონებულა;
ვინც მოძმის კეთილდღეობით
ზეცამდის აღფრთოვნებულა,
მადლობა შემოქმედისთვის
უთქვამს და გახარებულა!..

ღ. ნინოწმინდელი

---

## კორესპონდენცია

—

**ქ. ზუგდიდი**, 28 დეკმბერი. ამ ჟამად ზუგდიდსა და იმისს ახლომახლო სოფლებში ყელ-ჭირვება მძვინვარებს. ამ საშინელმა ავადმყოფობამ ერთს აქაურს მოვაჭრეს, ალ. კ—ას, სამის კვირის განმავლობაში მოუკლა სამი შვილი, ბევრს სხვასაც ჩასჭიდა შეუბრალებლად ბრჭყალები და უკვე გაისტუმრა საიქიოსკენ და ბევრს, ვინ იცის, რას უქადის! ადგილობრივმა მთავრობამ მისის დასაშოშმანებელ ღონის ძიებად 12 დეკემბერს დაითხოვა მოსწავლე ახალგაზრდობა სასწავლებლიდგან და არც სანიტარული მდგომარეობა ქალაქისა დასტოვა უყურადღებოდ, მაგრამ ვერაფერს სანუგეშო ნაყოფს ამ საშუალებათ ჯეჯ-ჯერობით ვერ ვხედავთ და სანამ ექიმის წამალს ველირსებოდეთ, თუ ასე გაგრძელდა, ხომ ერთიანად ამოვწყდებით!..

მეცნიერისგან აღმონაჩენი წამალი ყელ-ჭირვებისა მგონი არც ჩვენმა ხალმა დასტოვოს უთანაგძოლოდ, რადგან, როგორც გვამხილა დაკვირვებამ, ყელჭირვებით ავადმყოფთა მშობლები ამ უკანასკნელ დროს უფრო მეტად სარგებლობენ ექიმების წამლითა და დარიგებით, ვიდრე წინა წლებში, როდესაც ჩვენს ხალხს სხვა-და-სხვა გვარიამაოდ მორწმუნება ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და ყოველ გვარი ექიმობა ყელ-ჭირვების წინააღმდეგ მავნებლად მიაჩნდა.

აგერ ათი წელიწადია, რაც ზუგდიდში არსებობს ერთ კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელიც იმყოფება პრინცესსა სალომე მურატის მზრუნველობის ქვეშ. საუბედუროდ, იქ დიდი ხანია, რაც გაუქმებულია ქართულის ენის სწავლება, ურომლისოდაც ჩვენებური ქალი ვერც შვილს გაუწევს დედობას და ვერც ოჯახს დედა-ბოძობას. კარგი იქნება, მისმა პატივცემულმა მზრუნველმა ითხოვოს, სადაც ჯერ არს, რომ ამ სასწავლებელში რუსულ ენასთან ასწავლონ ქართულიც და აგრეთვე ზუგდიდლების დახმარებით გაათრკლასიანონ და მით დედათა სქესის სწავლა-განათლების საქმე ჩვენში ცოტად მაინც გააუმჯობესონ.

დიმ. ბ—ია

**სოფ. პატარძეული** (ტფილისის მაზრა), 11 დეკემბერს ყრილობა იყო სოფ. პატარძეულის საზოგადოებისა, ყრილობაზედ დამსწრეთ ადგილობრივმა მამასახლისმა გამოუცხადა: „მთავრობისგან მოწერილობაა, რომ ჩვენს სასოფლო სკოლას უნდა მიეცეს საბაღე ადგილი, სადაც მასწავლებლის მეცადინეობით გაშენდება ბაღი მოსწავლეების სავარჯიშოდ და მევენახობა ბაღეულობის სასწავლებლადაო; ეხლა თქვენ უნდა დაადგინოთ განაჩენი: სად ამოირჩევთ საბაღე ადგილს, რამდენ დღიურს გადასწყვეტთ და შეღობვითაც თქვენ უნდა შეღობოთო. ყრილობაში დამსწრე წევრთ ამ სასიქადულო საქმეს ზურგი შეაქციეს და დაადგინეს: რადგან ჩვენც შევიწროვებულნი ვართ უადგილობისაგამო და არა გვაქვს საბაღე ადგილი, ამისათვის უარი ეთქვას სკოლას და არ მიეცესო. რამ ათქმევინათ უარი, რად შეაქციეს ზურგი ამ ფრიად სასიქადულო საქმეს, როდესაც ს. პატარძეული მდებარეობით, ჰავითა და საბაღე ადგილებით სხვა სოფლებთან შედარებით წინა სდგას? თავი და თავი მიზეზი ისაა, რომ ჩამგონებელი არა ჰყავთ. კეთილი გზის მაჩვენებელი არაა. თუ ერთი გამოვა საზოგადოებაში და ურჩევს, გეყოთ სიბნელის მორევში ცურვაო, მეორე და მესამე გაიძვერა ეწინააღმდეგება პირველის აზრს და ურჩევს ისევ სიბნელეში ყოფნას, რათა მღვრიე წყალში უფრო მრავალი თევზი დაიჭირონ.

აქ ერთი მეტად შემაძრწუნებელი უბედურება მოხდა. გუშინ ღამით დაეცნენ ავაზაკები მწყემსებს ბინაში საქონლის მოსატაცად. საქონელი ვერ წაასხეს, რადგან მალე შეუტყო მწყემსმა, მაგრამ ამის სამაგიეროდ მოჰკლეს მწყემსი კურატიშვილი, რომელსაც ტყვია აქვს მარცხენა ძუძუში მოხვედრილი.

უცხოელი

---

## უპიროზენ თუ არა ძეგლის დადგმას ი. დავითაშვილს

(წერილი რედაქციის მიმართ)

ძ. ვარდენ, იქნება შეიტყო, უპიროზენ თუ არა ძეგლის დადგმას ი. დავითაშვილს, თორემ იმ დღეს სასაფლაოზედ ვიყავი და ძლივს-ღა ვიპოვე განსვენებულის საფლავი და თუ კიდევ დააგვიანდა, საფლავი სულ დაიკარგება და, ძეგლის მომლოდინე, უბრალო ქვასაც ვერ ეღირსებაო, მწერს სხვათა შორის ერთი ჩემი მეგობართაგანი თელავიდგან.

მართლა და სასურველია ვიცოდეთ, უპიროზენ თუ არა ძეგლის დადგმას განსვენებულ ი. დავითაშვილს? და თუ უპიროზენ, რადა საგვიანო არის. თუ ხსოვნამ არ გვიღალატა, ამ საგნისათვის ფული 170 მანეთამდე უნდა იყოს მოგროვილი. რაკი ამ საქმის სისრულეში მოყვანას შეუდგებიან, იმედია ეს ფული 200 მანეთამდე მაინც შესრულდება, ორას მანათად იმედია, რკინის მოაჯირსაც გავაკეთებინებთ დ ძეგლის მასალასაც. მართალია, ძვირფასი არ იქნება, მაგრამ სულ არარაობასა და საფლავის დაკარგვას-კი ემჯობინება, არც სიცოცხლეში უყვარდა განსვენებულს გამოპრანჭული სიარული, ბევრიც რომ ჰქონოდა. თუ ამ საქმის განხორციელებას მოვინდომებთ, თელავშიაც არიან ხელოსნები, რომლებიც უსასყიდლოდაც იკისრებენ განსვენებულის საფლავზედ ძეგლის დადგმის შრომას.

მეც არ ვიცი, რაზედ არის შემდგარი ეს საქმე და იმედია, ეხლა განაცხადებენ მიზეზს ამ საქმის დაგვიანებისას.

ვარდენ გოცირიძე

---

## რუსეთის ცხოვრება

რუსეთის ხაზინის ერთ უმთავრესს შემოსავალს სააქციზო შემოსავალი შეადგენს. რაკი ეს ასე არის, ამიტომ კარგა ხანია, რაც საჭიროდ მიაჩნდათ ღვინის გაყიდვა სახელმწიფო მოხელეთათვის მიენდოთ. რაღა თქმა უნდა, რომ ხაზინისაგან დაყენებული კაცები უფრო წესიერად მოაწყობენ ღვინის ყიდვას, ვიდრე მედუქნეები. ამ ჟამად ოთხს გუბერნიაში შემოიღეს კიდეც ეს ახალი წესი საცდელად. ამავე დროს იწყებს მოქმედებას „სიფხიზლის საზოგადოება“. ამ საზოგადოებას ეყოლება ამორჩეული მზრუნველები, რომელნიც ეცდებიან ყოველი ღონე იღონონ, რომ ხალხში ლოთობა შეამცირონ.

—

საექსპერიმენტალო სამკურნალოს საიმპერატორო ინსტიტუტი „პრავ. ვესტ.“-ში აცხადებს, რომ, რადგანაც ყელ-ჭირვების წამალი (სისხლის შრატი) „მეისტერ ლიუციუსისა და ბრიუმინგის“ ფირმით მომზადებული ბლომადა გვაქვს მთავრობისა და საზოგა...

---

...ისგან სიბრალულის გრძნობით ...სჭვალვისას ტოლსტოის „ომსა ...ზავ“-ში გვიჩვენებენ, იქ, სადაც ...რატაევი ჰყავს ავტორს დასურათე...... პლატონ კარატაევი და პიერ ...ოვი ფრანგების ტყვეობაში გა...ენ თავიანთს ხასიათსა. პირვე...ყველივე უბედურებასა და ტან...ას დიდის მოთმინებით იტანს და ...ოს სიკვდილსაც სიმამაცითა და ...წინაშე ქედის მოხრით შეხვ...ამ კაცის მოთმინება და სიმა...პეზუხოვს სიმართლის გზაზედ ...ებს და ამის შემდეგ საკმაოა ...ლო, გულ-უბრყვილო „მუჟი...აახსენდეს ბეზუხოვს, რომ აღ...ებული სული დაუწყნარდეს და ...რების ყოველისავე უკუღმარ...ს მოთმინებითა და დამშვიდე...შეხვდეს. საშინლად მაკვირვებ... ამბობს ავტორი, სად ნახეს აქ ...რალული და გულ-მოწყალება, ...ელ-კეთილობის პატივისცემა და ...ეობრივი სიტურფის ქადაგიო. ...მაინცა და მაინც ყოველივე ეს ... შეკავშირებულია გონების ...ავესა და ყოველისფრის მო...ნებით გადატანასთან, მაშინ ვი...ის ვირი, რომელიც ჰუგოს თა...ს ერთს ლექსში გამოჰყავს, რაც ...და იყოს, ყოველ „მუჟიკზედ“ ...დაბლა სდგას ჭკუითა და გონე...ო ისიც-კი იჩენს კეთილობასა ...ი ფერს ითმენსო. და თუ საზოგადოდ გულ-კეთილობისა, თავგანწირულების და სიბრალულის შესახებ არის ბაასი, მაშინ საფრანგეთის რომანტიკებმა დოსტოევსკისა და ტოლსტოიზედ ბევრად უფრო ადრე დაგვანახვეს ეს გრძნობანი. იმათ უწინ დაგვანახვეს როსკიპი ქალები, რომელნიც მხოლოდ გარემოებათა მიზეზით არიან ესეთნი, თორემ გულითა და სულით-კი წმინდანებს ემსგავსებიან, იმათ უწინ დაგვიხატეს მათხოვრები და საცოდავნი, რომელნიც გულ კეთილობითა და გულ-მოწყალებით სავსენი არიანო. მართალი რომ გითხრათ, მე არც დოსტოევსკის სონია მესმისო, ამბობს ლემეტრი. ის უმაღლესის სარწმუნოებით გამოსჭვალულია და თანაც თავისს სხეულს ჰყიდის ოჯახის დასარჩენადაო. სარწმუნოება ამ ქვეყნიერ ცხოვრების არარაობას გვიქადაგებს, გვირჩევს სხეულის სულისათვის შეწირვას და ვინც ამ სარწმუნოების მორჩილია, იმან საქაო საიქიოს უნდა შესწიროსო, ხორცი სულს უნდა უმსხვერპლოსო. სონიაც ნამდვილს მორწმუნესავით უნდა მოქცეულიყო და ეს სისაძაგლე-კი არ უნდა ჩაედინა, მაგრამ ვაი თუ ეს ტიპი ცაში მფრინავის ფანტაზიის ნაყოფი იყოსო. ჰუგოს „საბრალონი“-ს ფანტინა მართლა ერთი საცოდავი გულ-კეთილი და თავ-განწირული უზნეო ქალია, რომელსაც შეიძლება ღმერთზედ თავისს დღეშიაც-კი არ ეფიქროსო. ამის შესახებ საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი ადგილი ლემეტრის ეტიუდიდგან ოსტროვსკიზედ. რუსეთის მწერლების გმირები, რაც უნდა პოროტნი და საძაგელნი იყვნენ და რა სისაძაგლესაც უნდა სჩადიოდნენ, სულ ღმერთს იხსენიებენ და თავისს ცოდვას დასტირიანო, თუმცა მეორე წუთშივე შეიძლება უარესი ცოდვა ჩაიდინონო. „ამას ისე ხშირად შეხვდებით, რომ თითქმის სასაცილოდ გეჩვენებათ. რომ მოინდომოს კაცმა, შეუძლიან მასხარად აიგდოს ეს ვაჟბატონები და სთქვას, ახირებული მასხრობა სცოდნიათ რუსებსა და განსაკუთრებული თვისება შესანიშნავი „სლავიანების სულისა“ ეს არის: შენს სხეულს ყურადღებას ნუ მიაქცევ, დაე, რაც უნდა ისა ჰქმნას დ როგორც უნდა ისე მოიქცეს, მხოლოდ გულში-კი მუშტი დაიკარ და წამდაუწუმ წამოიძახე „დანაშაულისა და სასჯელის“ მარმელადოვის არ იყოს: „მე შევცოდე, ღორი ვარ“. საქმე იმაშია, რომ ამ გმირებს არა ჰშორდებათ მუდმივი ფიქრი ცოდვის შესახებ, მაგრამ ახალის ცოდვის ჩადენას-კი ვერ უშლის იგი... ეს-კი იმიტომ, რომ ეს ჩვენზედ შორს მყოფი ხალხი იმდენადვე განვითარებულია სულიერად, რამდენადაც ჩვენი წინაპრები იყვნენ საშუალო საუკუნეებში, რასაკვირველია, განსხვავებით, რომელსაცა ჰქმნის რუსეთის ცხოვრება. მართლაც, ჩვენს მისტერიებში ხშირად შეხვდებით ამ მუდმივს ფიქრსა და ზრუნვას ცოდვილს ბუნებაზედ და იმავე დროს უცნაურს მხეცურ ინსტიქტების მორჩილებასა. თავისებურობა რუსეთის მწერლებისა და მათის ნაწერების მიმზიდველობა-კი იმითი აიხსნება, რომ ის ფსიხოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ჩვენში ოთხასის წლის წინად იყო, გამოხატული აქვთ ლიტერატურულის გემოს მქონე და ჩინებულის ნიჭის პატრონს მწერლებს და არა საბრალო „კლერკებს“, რომელნიც ისეთისავე გულ-უბრყვილო და მარტივის გრძნობა-გონებისანი იყვნენ, როგორც საზოგადოდ იმათნი თანამედროვენი *)... მაგრამ განვაგრძოთ:

რომანტიკებს რომ თავი დავანებოთ, ნეტავი თუ გგონიათ მართალი იყოს, რომ ან ბოლონდელს მწერლებს, რეალისტებსა და ნატურალისტებს, აკლდეთ სიმპატია; რომ ისინი მართლა ყოველთვის მედიდურად ექცეოდნენ მისგან აღწერილს ტიპებსა, სძაგდეთ და ყველანი საზიზღრადა და სასაცილოდ მიაჩნდეთ? დავეხსნათ ზოლას მისის საშინელისა და მკაცრის პესსიმიზმით, თუმც მის თხზულებებშიაც-კი მოიძებნება კარატაევზედ უკეთესი ტიპები; ნურც დოდეს ვახსენებთ, რომლის თხზულებები, ისე, როგორც რუსეთის აქ ჩამოთვლილ მწერლებისა, დიკკენსის გავლენის ქვეშ არის დაწერილი და მისებურის ღმობიერებით გამსჭვალული; გონკურებსაც თავი დავანებოთ, თუმც ეს „სარწმუნოება კაცობრიობის ტანჯვა წამებისა“, მგონი იმათ უფრო ეკუთვნის. ფლობერი აიღ...ის ფლობერი, რომელიც ყველაზედ უფრო გულ-გრილ და უგრძნობელ მწერლად არის მიჩნეული, განა იმასკი არ ებრალება თავისი გმირები? განა მისივე გმირი (შარლ ბოვარი — „მადამ ბოვარისა“) იმავე უსაზღვრო მორჩილებას არ იჩენს ბედის წინაშე და იმასვე არ ამბობს, რასაც კარატაევი: „ეს ყოველიფერი ბედის ბრალიაო“. შესაძლებელია ტოლსტოის „მუჟიკს“ ამისთვის ღვთის სახელი მიეწებებინაო, ამბობს ავტორი, მაგრამ ამით აზრი-კი არ გამოიცვლებოდაო. როცა ცხოვრების სარჩულზედ გვეუბნებიანო, განაგრძობს ლემეტრი, რა უნდა ვიგულისხმოთ? თუ ეს ჰნიშნავს ბნელსა და ფატალურს ძალას კაცის სხეულისა და სისხლისას, მისის ინსტიქტებისა და ფიზიოლოგიურ არსების ზედ-მოქმედებასა, ან მემკვიდრეობისა და ცხოვრების გარემოება...

*) იხ. ლემეტრის impressions de théâtre IV ტ. და რუსული თარგმანი „Международная библіотека“-ში „Этюды о русскихъ писателяхъ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების დაწესებულებათ ექიმების მოწმობით და კერძო კაცთ შეუძლიანთ გამოიწერონ შემდეგ ფასად: პირველი ნომრის შუშა—3 მანეთი, მეორე №-სა—5 მან. და 50 კ., მესამე № სა—8 მან.

წამლის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ ამ ინსტიტუტის დირექტორს (Аптекарскій островъ, Лопухин. ул. № 12).

—

მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ იალტიდგან სევასტოპოლამდის რკინის გზა გაიყვანოს.

—

რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობას ლაპარაკი აქვს იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული სახელმწიფო გარდასახადი იყოს შემოღებული საერო განათლებაზედაო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს საშობაო ნომერში დაწვრილებით აღგვიწერს ყველა იმ გარემოებას, რომელშიაც იზრდება ჩვენი ახალი თაობა. დღეს ყველა სასწავლებელში მშობლები, თუ ბავშვების აღმზრდელნი მხოლოდ იმასა ჰფიქრობენ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა ჰქონდეს ბავშვს, ყოველგვარს ცოდნას იძენდეს და იმდიდრებდეს ჭკუა-გონების სალაროს; მთელის დღეობით, თვეობითა და წლობით მოსვენება არა აქვს ბავშვს: კითხულობს, სწავლობს და თითქმის მთელი იმისი არსება ყოველ გვარის ცოდნით გამოტენილს თავსა ჰგავს, მაშინ როდესაც თითქმის სრულად მივიწყებულია ბავშვების მეორე, არა ნაკლებ უსაჭიროესი მოთხოვნილება ჯანმრთელობა. ამისი მიზეზია ის მოვლენა, რომ უმეტესი ნაწილი მოსწავლე ყმაწვილებისა დაუძლურებულ-დასუსტებულია, სიცოცხლეს მოკლებული, ხშირად დაბეცებული და მოხუცსავით წელში მოხრილიც-კი მუდმივის წიგნებში ჩაცქერის გამო; მაშინ როდესაც თანაბარი მზრუნველობა როგორც ერთისა, ისე მეორეს მხრივ უფრო მეტს სიკეთეს, მეტს სარგებლობას მოუტანდა კაცობრიობის ცხოვრებას. ჯანმრთელობისათვის ზრუნვა დიდს სიკეთეს მოიტანს, გონებით შეძენილი უფრო დიდხანს, უფრო მეტის ძალით იმოქმედებს, უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებს, რადგანაც ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, და უიმისოდ-კი ის მრავალფეროვანი ცოდნა, რომელიც ღონისა და ამტანელობის შეუფარდებლად იწევს ყმაწვილს, აბუნდოვანებს იმის სალს შემცნებლობას სხეულის სისუსტის გამო, არავითარს სარგებლობას არ მოუტანს ყმაწვილს და დამარხულ განძად უნდა ჩაეთვალოს.

სადაც ჯანმრთელობაა, იქ სიმხიარულესაც ადგილი აქვსო, ამბობს წერილის ავტორი, და თუ ამას არ გულდასტებთ, მაშინ ჩვენი საყმაწვილო და საკლასო ოთახები ისე უფერული, მოწყენილობის მომგვრელი აღარ იქნებაო. ამისათვის დღევანდელს სამხიარულო ქრისტეს შობის დღეს ვისურვებდით, რომ ჩვენის რუსეთის ერის განათლებას უფრო ყურადღებით ედევნებინოს თვალი დასავლეთის ცხოვრებისათვის, უფრო-კი ინგლისისა და შეერთებულ შტატებისათვის. აგერ რამდენიმე ათი წელიწადი უკვე გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისი არ ივიწყებს ფიზიკურს აღზრდას ყმაწვილებისას: ინგლისურს სხვა-და-სხვა გვარ თამაშობას, ინგლისურს დოღს, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც ევროპა დასცინოდა, დღეს ყველგან დიდის პატივით და სიყვარულით ეპყრობიან. ახალი თაობა უფრო მარდი, ჯანმრთელი და განათლებულია დღეს ამის წყალობით. სალს სხეულში სალი სულიაო, ნათქვამია, და სალს სულს ხომ უფრო ადვილად შეუძლიან ყოველ გვარ ცოდნის შეთვისება; ასე აღზრდილი ახალი თაობა სრულიად თავისუფალია პესსიმისტურ სიცოცხლის სიძულვილისაგან, რომელიც კარგს ნიადაგს ჰპოულობს მუდამ სუსტისა და შერყეულ ნერვების მქონეთა შორისო.

## რა დამოკიდებულება აქვს თავის მოკვლას სხ. და სხ. ხელობასა და სარწმუნოებასთან.

საინტერესოა იმისი შეტყობა, რა დამოკიდებულება აქვს თავის მოკვლას სხ. და სხ. ხელობასთან. ყველაზედ მცირე % თავს იკლავს გლეხობა, მიწათ-მოქმედი ხალხი; ამას მოსდევს მრეწველობა და ხელოსნობა; შემდეგ სხ. და სხ. თავისუფალი ხელობისანი უფრო ისწრაფვიან სიცოცხლეს (ლიტერატორნი, მკურნალნი და სხ.) და მოხელეობა; დასასრულ თავის მკვლელთა უმეტესს %-ს იძლევა ის ნაწილი, რომელიც სხვათა ემსახურება. ციფრების მიხედვით ყველაზედ უბედნიერესი გლეხია თურმე. უფრო ცუდს მდგომარეობაში ჰგრძნობს თავისს თავს ხელოსანი და ქარხნებში მომუშავე, საკმაოდ ცუდად—ლიტერატორი, მხატვარი და სხ., მაგრამ ყველაზედ უბედური-კი ამ შემთხვევაში მოსამსახურეა თურმე. ჩვენ-კი ვმრისხანებთ, რომ ისინი გაქსუებულები არიან და ვთხოულობთ, ცხვარსავით მშვიდნი და მორჩილნი იყვნენო.

ადვილად გასაგებია მიზეზი ამ მოვლენისა: გლეხი, რომელიც უმეტეს ნაწილად მცენარეულობით იკვებება, უფრო დაშორებულია თავის მოკვლას; ქარხნის მომუშავე, რომელსაც უკვე შეუტყვია კეთილისა და ბოროტის გემო, უფრო მეტს თხოულობს ცხოვრებისაგან; ინტელიგენტზედ ხომ, აბა, რა ითქმის, და იმათ ხომ, ვისაც ბედისაგან დიდ-კაცთა სამსახური ჰრგებია წილად, რა-კი ერთხელ შეიტყეს ის, რაც იმათის წოდებისთვის შეუძლებელია, არ შეუძლიანთ არ იგრძნონ ის უკმაყოფილება, რომელსაც აღძრავს ხოლმე მათ მიერ შეძენილი ახალი წარმოდგენანი და იმათი მდაბალი წოდება.

მაინც თავის მოკვლაში პირველი ადგილი სამხედრო წოდების ხალხს უჭირავს. პრუსსის ჯარში ყოველ წლივ თავს იკლავს 215 კაცი, ე. ი. 100,000-დგან 72, ანუ თვითოეული მე-1300 ჯარის-კაცი სიცოცხლეს ისპობს. უნდა შევნიშნოთ, რომ სულიერი ავადმყოფობა იშვიათად არის ხოლმე მიზეზი თავის მოკვლისა (10%); თავს აკვლევინებს ადამიანს: მშობლების დარდი, მოწყენილობა, შიში სასჯელისა, სხ. და სხ. გვარი უსიამოვნება, საზოგადოდ ყოველ-გვარი წყენა, რომელიც-კი ასე განუშორებლად სდევს უკან ჩვენს უაზრო უგემურს არსებობასა.

თავის მოკვლის რაოდენობაზედ სარწმუნოებასაც დიდი გავლენა აქვს. მაჰმადიანთა შორის თავის მოკვლა ძალიან იშვიათი მოვლენაა; პირ-იქით, იაპონელებსა, ჩინელებსა და ინდოთა შორისაც-კი, რომლებიც ბუდდას და კონფუცის ფილოსოფიურის სარწმუნოების მიმდევარნი არიან, ძალიან მიღებულია თურმე ეს ხელობა. ევროპაში სულ ნაკლებად იკლავს თავს კათოლიკეთა სარწმუნოების მორწმუნე ხალხი, უფრო მეტად პროტესტანტთა სარწმუნოებისა. მაგ., ბრესლავის ოლქის კათოლიკეთა შორის 100,000-დგან 18 იკლავს თავს, პროტესტანტთა შორის-კი 30. საქსონიასა და ჰესენში (სადაც თითქმის სულ პროტესტანტები სცხოვრობენ) 30 კაცი იკლავს თავს 100,000-ში და ბადენში-კი (კათოლიკები სცხოვრობენ) 20 კაცი.

გონებისა და ბედნიერების შეუთანხმებლობა კიდევ იმითი მტკიცდება, რომ უმეტეს ნაწილად განათლებულს ქვეყნებში იკლავენ თავს. აქ-კი, ცოტა არ იყოს, ეჭვიც შეიძლება შეეპაროს ადამიანს, რომელიც ხშირად ძნელი გამოსარკვევი ხდე ხოლმე, რადგანაც თავის მოკვლ მიზეზი სხ. და სხ. გარემოებისაგა არის დამოკიდებული; ამ გარემოებათ სხ. და სხ. გვარად შეიძლება მოუყაროს თავი, მაგრამ შედეგი-კი მაინც ცხადია.

გერმანიაში, სადაც, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ხალხი ძალიან განათლებულია, თავის მკვლელთა რიცხვი წლიურად 9-დამ 10,000 დის ადის. გეოგრაფიულად რომ გავანაწილოთ თავის მკვლელთა რაოდენობა, აი რას შევიტყობთ: ინგლისში 1 მილლიონს მცხოვრებლებზედ წლიურად 70 თავის მკვლელი მოდის, შვეციაში—81, საფრანგეთში—121, პრუსსიაში—133, საქსონიაში—268. საქსონია შუა-გული ადგილია, რომელშიაც უფრო ხშირია მაგალითი სიცოცხლის მოსწრაფებისა. სარმატის მხარეში თავს იკლავს 30 კაცი, ოსტზეიაში 60, აღმოსავლეთ-დასავლეთის პრუსსიაში—100, ბრანდენბურგში—200 და დასასრულ საქსონიაში თავის მოკვლის რიცხვი უკიდურეს წერტილამდის ადის (ეტტინგენი). დანია-კი ამ შემთხვევაში საქსონიასაც აჭარბებს; აქ თავის მკვლელთა რიცხვი 276 ადის. ეს მოვლენა მავნებელ სასმელების ხმარების მიზეზია. დანიელები მთელს ევროპაში ყველაზედ ლოთი ხალხია. წლიურად თითო კაცზედ 18 ლიტრა სპირტი იხარჯება (მაშინ, როდესაც, მაგ. ინგლისში მხოლოდ 6 ლიტრა იხარჯება).

წლის სხ. და სხ. დროს თავის მკვლელნი უფრო გაზაფხულსა და ზაფხულს არჩევენ. აპრილიდგან ენკენისთვის დამლევამდე $9\frac{1}{2}$-ჯ ტი თავის კვლა ხდება, ვიდრე წლ დანარჩენს დროს. უნდა შევნიშნ რომ ამავე თვეებში ხდება უმე ნაწილი სხ. და ს.ხ ბოროტ-მ დებისა და შეშლილობისა. ეჭვ არის, კაცი ამ დროს უფრო აღ ვებულია, ვიდრე ზამთარში.

---

თა აუცილებელს გავლენასა, ეს ხომ ბალზაკმა დაგვანახვა ბევრ მის ნაწერებში და ზოლამ-კი მთელი თავისი თხზულება ამას მოანდომა. ცხოვრების გარემოებათა გავლენა ბალზაკზედა და ფლობერზედ უკეთესად არც ერთს რუსეთის მწერალს არ აღუნიშნავს. თუ ამით ის უნდათ სთქვან, რომ რუსეთის მწერალს შეგნებული აქვს მსოფლიო კავშირი, რომ იგინი გვიხატავენ კაცის დამოკიდებულებას ყოველივესთან, თავისსა და სხვის მოქმედებასთან, თავისსა და სხვის აზრთან, მაშინ მართალია, ტოლსტოის «ომი და ზავი» ამ მხრით ძლიერ კარგი რამ არის, მაგრამ ჰუგოს «საბრალონი» და ფლობერის „L'éducation sentimentale“-ი უკეთესი თუ არა, უარესი აღარ არის. ტოლსტოის აქვს აღწერილი თავისის გარეგნობით დიდებული ხანა 1805—1815-ამდის, მაგრამ ფლობერის მიერ დასურათებულს ხანას 1845—1851-დის თუ მეტი არა, ნაკლები ინტერესი აღარა აქვს. ფლობერის რომანი არის ორის ყმაწვილის კაცის ცხოვრების ამბავი; ეს ყმაწვილი კაცები ძლიერ საინტერესონი არიან და შესანიშნავნი, როგორც ტიპები, რადგან ერთია რომანტიკი და მეორე პოზიტივისტი, და ეს სწორედ ის დროა, როცა პოზიტივიზმმა რომანტიზმის ადგილი დაიჭირა. ამას გარდა, ეს რომანი ლუი-ფილიპის მეფობის უკანასკნელ დროს აზრთა მიმართულებისა, ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების გამომხატველია და, რაც ყველაზედ უფრო საყურადღებოა, ეს არის ზნეობრივი, სოციალისტური და პოლიტიკური ისტორია 1848 წლის რევოლუციისა. ფლობერის რომანის შესახებ იმიტომ ვლაპარაკობო, ამბობს ავტორი, რომ დავანახვოთ რა უცნაური მსგავსებაა არის იმასა და ტოლსტოის რომანს შორისო. მსოფლიო საიდუმლოებაზედ ფიქრი და შფოთვა და ამ მიზეზით გამოწვეული ნაღვლიანობა—ფიქრია ჩვენის ბედისა, ჩვენის სულისა, ღმერთისა, კაცისა და ქვეყნის წარმოებისა, ჩვენის ცხოვრებისა და ქვეყნის არსებობის შესახებ. თუ ეს ასეა, საკვირველია, რომ ამ აზრებისა და გრძნობის აღმომჩენლად რუსებსა სთვლიანო, ამბობს ლემეტრი. საფრანგეთის ლიტერატურა 1825—1850-ამდის ამის მეტს რას აკეთებდაო; კიდევ მეტს ვიტყვით, ამ საგნის შესახებ წერა და ფიქრი იმ ხანის მწერლების ხელობას შეადგენდენო. ჰუგოს თხზულებები სავსეა ამ მსოფლიო საიდუმლოების გამო დრტვინვითა და შფოთვით. ისეთი ნაწერი არ არის, რომელიც ცოტად არის მაინც არა სცდილობდეს სინამდვილის შეგნებას, ისეთი მწერალი არ არის, რომელიც ღირსი არ იყოს მწერლის სახელისა, რომ ეს შფოთვა და მწუხარება მსოფლიო საიდუმლოების გამო აღძრულ ფიქრით გამოწვეული არ აღენიშნოს ასე თუ ისეო. უკეთესი რად გინდათ, არა-თუ საუკეთესო ადამიანები ფლობერის რომანებისა, ზოგიერთი ბეჩავი და სასაცილო არსებაც-კი ამ ფიქრებში არიან გართულნიო.

ასე, რომ ჩრდილოეთის მწერლობას არავითარი ახალი არც აზრი, არც გრძნობა, არც გამოხატვა ამ გრძნობისა, ავტორის აზრით, არ შეუტანია საფრანგეთის ლიტერატურაში, იმათი მიმზიდველობა, იმათი თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გრძნობები და აზრები, რომლითაც საფრანგეთის ლიტერატურა სავსე იყო ამ ორმოცის წლის წინად, ამ მწერლებს გამოთქმული აქვთ თავისს ენაზედ, თავისებურად. *) ამასთან ბუნება, ყოფა-ცხოვრება და სარწმუნოება თავისებურს ბეჭედს ასვამს ამ მწერლების ნაწარმოებს და ძველი ნაცნობი აზრები ახალის, უცნობის სამოსლით გვეჩვენება და თითქმის ახლად მიგვაჩნიაო, განაგრძობს ლემეტრი, თორემ ხელოვნების მხრით მათი ნაწარმოები საფრანგეთის ლიტერატურაზედ დაბლა სდგასო. მართალია, ჩრდილოეთის მწერლების თხზულებები უფრო სარწმუნოებით არის გამსჭვალული, მაგრამ ეს იმიტომ, რომ საფრანგეთში სასულიერო ლიტერატურა ცალკე გვაქვს და ამ მხრით მათი აზრები ბოსსიუეტის ნაწერებში მოიპოვებაო. საფრანგეთში საერო და სასულიერო ლიტერატურა განცალკევებულია და თუმცა ამითი ხანდახან, ცოტა სიღრმე აკლდება ლიტერატურას ზნეობრივად, მაგრამ ეხლანდელი მწერლები ამასაც ასცდნენ და თვით მოპასანიც-კი ზოგიერთს თავისს ნაწარმოებში იჩენს ზნეობრივს სიმტკიცესო. ჟორჟ ზანდისა და ჰუგოს გმირები უფრო კაცობრიობის ბედ-იღბალის ფიქრში არიან და დაუსრულებელის სიმართლის ქვეყნად განხორციელებას უფრო ელამუნებიან, ვიდრე პირადის ზნეობის განსპეტაკებასა, მაგრამ ამით არა მგონიაო, ამბობს ავტორი, ფრანგულ ლიტერატურის გმირები ან უფრო ნაკლებ გვაღელვებდნენ და ან უფრო ნაკლებ კაცობრიობას იჩენდნენო. *) ყოველისავე ამის შემდეგ მე მაინც არ მესმისო რითა სჯობ საფრანგეთის ლიტერატურის უმა ტარიზმს ან ელიოტის პიე იზმი, იბსენის აღშფოთებული იდეალი და ან ტოლსტოის მისტიკური ტალიზმიო? ვინ დაგვიმტკიცებს, რო ჩვენი რევოლიუციონალური კეთ ლის-მყოფლობა, კეთილის სურვილ და გულ მოწყალება, ჩვენი მუდმივი ფიქრი საზოგადოებრივ რეფორმებ სა იმასვე ვერ დაიმსახურებენ ღვთ წინაშე, რასაც ჩრდილოეთის ხალხ ზრუნვა შინაგანის, პირადის ზნეო განვითარებისა და განსპეტაკებისაო. გატაცება ჩრდილოეთის ლიტერატ რით, სეპტენტრიომანია (septentrio ჩრდილოეთი) რომ უსაფუძვლო იყ იმითი მტკიცდება, რომ ძალიან ყუჩდა ამ ბოლოს დროსაო. დაა რეთო, ათავებს ლემეტრი, და ს იგემეთ, შეიყვარეთ ეს მწერლებ თოვლისა და ნისლისა, ეცადეთ ისა რგებლოთ ახლა მოდის წამლებით ვიდრე რამე ძალი კიდევ შერჩენიათ, თორემ მგონი ლათინურის გენიის რეაქცია ახლო არისო.

---

*) მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ საზოგადოდ იდეალიზმისა და სპირიტუალიზმის განახლება ბევრიო მიზეზია ჩრდილოეთის ლიტერატურით გატაცებისა საფრანგეთში. ამას, ცოტა არ იყოს, პატრიოტიზმიც ერთვოდა. ამას გარდა, ყოველივე ახალი იწვევს კაცს და თავისის ძველის მწერლების კითხვას თავიანთ ქვეყნის მეგობარ სახელმწიფოს მწერლების კითხვა არჩიეს. ეხლა-კი, როგორც გვარწმუნებენ, საფრანგეთის ახალგაზდობა ძალიან ეტანება რომანტიკების შესწავლას და ლამარტინისა, ჟორჟ ზანდისა და სხვათა ნაწერების კითხვას მიჰყვეს ხელი.

*) ბ-ნ ივანოვიც იმას უკიჟინებდა ევროპის საზოგადოების მეთაურებს, ხალხის მორჩილება გაკლიათ და მის წინაშე საკმაო სიმდაბლესა და სიწყნარეს ვერ იჩენთო, იგი თქვენის საგნების მისაღწევ იარაღად მიგაჩნიათო. ეს თვისება ევროპიელის ხალხისა და ლიტერატურისა მან შილლერის „დონკარლოსიდან“ (მარკიზ პოზა) და შპილჰაგენის „ОДИНЪ ВЪ ПОЛѢ НЕ ВОИНЪ“-დან (ლეო) გამოიყვანა, თითქოს ამ ორი ნაწარმოების მეტი არა იყოს რა ევროპის ლიტერატურაში? აგრეც რომ იყოს, საკვირველია, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც, ბ-ნ ივანოვის აზრით, ხალხს ზევიდან დაჰყურებდნენ და მას ამა-თუ იმ საგნის მისაღწევ უბრალო საშუალებად სთვლიდნენ, იმათ უფრო ბევრი სარგებლობა მოუტანეს ამ ხალხს, ვიდრე იმათ, რომელნიც წამდა-უწუმ მუხლებს იყრიან ხალხის წინაშე. (ბ-ნი „ყარიბი“ ოდ აქაც ჩემს არისტოკრატიზმს დაინ ჩვენ არც ადგილი გვაქვს და არც როდ ვსთვლით ავხსნათ და გამოვა ოთ ჩვენი აზრი: „რომელსა ასხენ ყ სმენად, ისმინენ!“ ხოლო, ეს-კი უნდა ვთ რომ მისი ინსინუაციები ჩემს შესახებ სრ ლიად აზრსა და საფუძველს მოკლებულ და მხოლოდ გამწვავებული და დაბრმავე ლი „პარტიობით“ გამოწვეული).

...ე უნდა დავძინოთ, რომ თვით ...ხულის დროც ხელს უწყობს თა...ა მკვლელს. ზაფხულში უფრო მე...ის სიამოვნებით ჩამოიხრჩობს კაცი ...ავსა, დაიხრჩობა, სადმე მწვანით და...ულს ტყეში, საამურად მოჩუხ...ულ მდინარეში და სხ...

...რიცხვი თავის მკვლელ ქალთა სამ-...ჯერ ნაკლებია, ვიდრე მამაკაცთა. ქალები უფრო ადვილად ჰმორჩილ-დებიან ბედს და არც ისეთს მონაწი-ლეობას იღებენ ცხოვრების ბრძოლის ველზედ, როგორც მამაკაცები.

თავის მოკვლის საშუალებათა შო-რის უფრო მიღებული და ჩვეულებ-...ივი ჩამოხრჩობაა (კაცებ შორის ...2—67%, ქალებ შორის 42—...47%,) მერე თავის დარჩობა (კაცებ შორის 12—14%, ქალებ შორის ...36—41%); ტყვიით იკლავენ თავს უფრო ხშირად მამაკაცები (11—...5%), ქალები-კი უფრო იშვიათად ...1—2%); უფრო მეტად სიცოც-ლეს ისპობენ საწამლავით (კაცებ შო-...ის 2,5—3%, ქალებ შორის 7—9%). ...ანარჩენ საშუალებათ-კი, ხანჯალ-და-...ას, მატარებლებსა და ეტლებს ქვეშ ...ავარდნას, ნახშირის ბუღით თავის მო-...კვლას და ფანჯრიდგან გადავარდნას— ძალიან იშვიათად ჰხმარობენ.

ხნიერებით თავის მკვლელნი სხ. და სხ. წლოვანებისანი არიან: უფრო 9 წლიდგან 80 წლამდე ისპობენ სი-ცოცხლეს. უმეტესი ნაწილი ამათში 30—50 წლისანი არიან, მაგრამ ხში-რად ძალიან ყმაწვილები, ძალიან და-ძაბუნებულნი მოხუცებიც მზად არიან „არსებობის სიხარულს“ განშორდნენ. ერთმა ინგლისელმა მკურნალმა ამ მოკლე ხანში 100-მდე თავის მოკვლა ...რია, რომელთაც ისე უმი-...ად ჩაუდენიათ ეს საქციელი. ...შორის სამნი 9—11 წლისანი ...იან და ცხრანი 11—18 წლისანი. ...ხედ ნაკლებად თავს იკლავენ ...ნი, ხელ-მოკლენი, „შიშველ-...ლნი“. აქედგან სჩანს, რომ ...ნადაც ნაკლებს აძლევს ადა-...ცხოვრება, იმდენად უფრო მე-...აფასებს იგი სიცოცხლეს. ეს ...იკის წინააღმდეგია, მაგრამ ცხო-...ა ხომ საზოგადო ლოღიკას არ ...რჩილება.

## ...ცხოვეთის წვრილი ამბავი

„...ვესტ. ინოსტ. ლიტერ.“-ში თვალ-...ნოდ არის გამოანგარიშებული, რა ...ლი მისცა კაცობრიობას ნაპოლეონ ...ის ომებმა. მის კონსულობისა და ...იმპერატორობის უფლების დროს (1798—...5) გაიჟლიტა თურმე 2 მილიონი ... თითოეულს კაცს სხეულში სამი ...ა სისხლი უდგია. მაშასადამე, „დი-...ს კაცს“ თავისის დიდებულის სამ-...დროს 2,400,000 თუნგი ...სხლი დაუღვრია, ე. ი. ორთაშუა რი-...ით ერთს წელიწადში 14,100 თუნ-...მოდის, დღეში-კი 390 თუნგი.

## ...რიტიკა და ბიბლიოგრაფია

...რაფიელ დავითის ძის ერისთავის თხზულებანი.

მოგვივიდა თავად რაფიელ და-...ძის ერისთავის თხზულებათა ...ი ნაწილი, ქართველთა ამხა-...ის მიერ გამოცემული. ამ ნა-...ში მოქცეულია ყველა ლექსი, რომელიც-კი დაუწერია ჩვენს საყვა-რელს პოეტს 1852 წლიდგან მოკი-დებული 1890 წლამდე. შიგვეა მო-ქცეული აგრეთვე თავ. რაფ. ერის-თავის მიერ ნათარგმნი და გალექსი-ლი იგავ-არაკები როგორც კრილო-ვისა, ისე „სიბრძნე სიცრუისდგან“. წიგნი შეიცავს 400 გვერდამდე და ძალიან ლამაზადაც არის გამოცემუ-ლი. კარგი საჩუქარია, რასაკვირვე-ლია, ქართველებისათვის ამ დღესას-წაულებისათვის კრებული პოეტისა. წიგნი ჰღირს ერთი მანეთი. წიგნს დართული აქვს წინ სურათი პოეტი-სა და მისი ფაქსიმილე.

—

„ვეფხის-ტყაოსანი“ ვახტანგ მეფის გა-მოცემული.

1710 წ. დაბეჭდილი „ვეფხის-ტყა-ოსანი“ ვახტანგ მეფის მიერ 1710 წ. ქ. ტფილისში, დაბეჭდილი „ვეფ-ხის-ტყაოსანი“ მეტად იშვიათი შე-იქმნა ჩვენს დროში, ორი ეგზემპლია-რი ამ გამოცემისა ინახება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელის სა-ზოგადოების წიგნთ-საცავში“. დღეს ამ გამოცემის ერთი ეგზემპლიარიც აღმოჩნდა, რომელიც ერთ ხელოსან კაცს ჰქონია. ეს ხელოსანი კაცი ამ იშვიათს გამოცემას ჰყიდის და სასუ-რველია, რომ ეს წიგნი მოპოვებულ იქმნეს ისევ ქართულ სიტყვიერების და მწერლობის ისტორიის მიმდევარ-თაგან. ადრესი „წერა-კითხვის წიგნთ-საცავშია“.

თვით წიგნი შენახულია მთლად, დაკაზმულია და თუმცა დაბეჭდილ „ვეფხვის-ტყაოსანთან“ ბევრით არა-ფრით გაირჩევა, მაგრამ საინტე-რესოა მისი განმარტება და „ვეფხვის ტყაოსნის ახსნა, რომელიც ვახტანგ, მეფისაგან ბოლოში არის ჩართუ-ლი. ნამეტნავად საინტერესოა ის ად-გილები, სადაც ვახტანგ მეფე „ვეფ-ხის ტყაოსნის“ ალეგორიას ისტო-რიულად განმარტავს და საქართვე-ლოს ისტორიას უდარებს. ბევრი კიდევ სხვა საინტერესო ცნობაა აქ ჩართული. 1710 წ. გამოცემულის „ვეფხის ტყაოსანს“ და მის გამომ-ცემის ისტორიის შესახებ.

## გასართობი

—

იმ დროს, როცა ინგლისში მკურ-ნალნი განსხვავებულ ტანისაცმელს ხმა-რობდნენ, რითაც ისენი სხვა მოხელე-თაგან განირჩეოდნენ, ერთი მკურნალი მივიდა საშინელს დარში მდინარე ტემ-ზასთან და უთხრა მეოეკზეს:

— შეგიძლიან უხიფათოდ გადამიყვა-ნო გაღმისს?

— რატომაც არა.

— ეგ-კი, მაგრამ, თქვენ საერთოდ მეთევზენი მეტად დიდს ფულს გვარ-თმევთ—აბაზს კაცის თავზე.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ბ-ნო მკურნალო, რომ ჩვენ მეტად ნაკლებს ვიღებთ მკურნალებთან შედარებით, რო-მელნიც არავის არ გადიყვანენ ამ ქვე-ყნიდგან საიქიოს, თუ თუმნიანები არ გადაახდევინესო.

—

სახელმწიფო საბჭოს ერთმა ახალ-გაზდა მოხელემ ტალეირანი ინახულა და უთხრა თავისის გულწრფელობისა და გულ-ახდილობის ამბავი.

— ჯერ კიდევ ყმაწვილი ხართო, უთხრა ტალეირანმა,—იცოდეთ, მეფეებ-მეტყველების ნიჭი იმიტომ აქვს ადა-მიანს მიმადლებული, რომ თვისი აზრი დაჰმალოს და ნიღაბ-აფარებით გამოს-თქვას, რაც სათქმელი აქვსო.

—

ლეზარრო პარასკევ დღეს ერბო-კვერ-ცხსა სჭამდა და ამ დროს საშინელი ქუხილი გაიგონა, წამოხტა მაშინვე სა-დილიდგან, გარედ გადისროლა ერბო-კვერცხი და სთქვა:

— რა უბედურებაა, ჩემი ერბო-კვერ-ცხის გამო ერთი აურ-ზაური ასტეხეს ზეცაშიო.

## წერილები რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის საშუალებით ჩემს მეზო-ბლებთან ერთად უგულითადესს მადლობას გამოუცხადებთ ქვემოთ დასახელებულთ, რო-მელთაც მოწყალებით მოჰხედეს ჩვენს თხო-ვნას *) და ასეთს მიყრუებულს სოფელში, როგორიც არის ფონა, წიგნები მოგვაწოდეს.

აი სია, შემომწირველთა: ქ-ნმა თამარა შათირიშვილმა გაჩეჩილაძისამ—წიგ. 4 მა-ნეთისა, ვასილ აბაზაძემ—წიგ. 2 მ. 30 კ., ივანე მაისურაძემ—წიგ. 2 მ. 5 კ., ანთიმოზ კირკიტაძემ—წიგ. 1 მ. 60 კ., ილია ი. ჭი-ჭინაძემ—წიგ. 1 მ. 5 კ., იოსებ ფანცულა-იამ—წიგ. 1 მ. 3 კ., ივანე ბაბუაძემ—წიგ. 95 კ., იოსებ მირზაშვილმა—წიგ. 90 კ., სოლომონ ბუნტურმა—წიგ. 85 კ., თეო-ფილე ხუსკივაძემ—თავისივე თხზ.—წიგ. 85 კ., გიორგი ბუხნიკაშვილმა—წიგ. 70 კ., მეთოდე კალანდაძემ—წიგ. 55 კ., მარიამ ახალ კაცის ქალმა—წიგ. 60 კ., აბრამ მი-ნდიაშვილმა—წიგ. 35 კ., სარდიონ რუხა-ძემ—წიგ. 25 კ., ვასილ ნეფარაშვილმა—წიგ. 20 კ., ანნა ბუხნიკაშვილის ქალმა—წიგ. 15 კ.

ამ შემოწირული წიგნებისა შევადგინე კა-ტალოგი და გავმართე ჩემსავე სახლში **) სასოფლოდ პატარაშინაური წიგნთ-საწყობი, სადაც დიდის სიამოვნებით დადიან წიგნის მცოდნენი და ერთმანერთის მიბაძვით დიდის ხალისით კითხულობენ.

იმედია საზოგადოება დღეის შემდეგაც არ დაგვტოვებს უყურადღებოდ.

გლეხი სტეფანე ნოზაძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 იავარი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანე-ბით სენატისადმი გოფმეისტერი კრი-ვოშეინი თანახმად მისისავე თხოვ-ნისა დათხოვნილ იქმნა სამსახურიდ-გან. გენერალ-ადიუტანტი დანილო-ვიჩი მისის უდიდებულესობის მხლე-ბლად დაინიშნა; გრაფინა, ვერა ნი-როდი, ბარონესსა მაგდალინა შილი-ნგი ორივე დედოფლების ფრეილი-ნებად იქმნენ დამიშნულნი. სახელ-მწიფო საბჭოს დეპარტამენტები ამ ახლო მომავალში გაარჩევენ შემდეგს საგნებს, განთავისუფლებულ იქნებიან თუ არა საოფიცრო დამზოგველი სა-ზოგადოებები მათ მიერ გახსნილ მა-ღაზია-დუქნების ხვედრ გარდასახა-დისაგან და დაარსებულ იქნან თუ არა მისსიები მის უწმინდესობა რომის პა-პთან.

**ლონდონი.** „ნოვ. ვრ.“-ს საგანგე-ბო დეპეშა. „Daily News“-ის ვენელ კორესპონდენტის ცნობები-დგანა სჩანს, რომ კაბინეტებს: ვე-ნისას, გერმანიისას და რომისას გა-ნზრახვა აქვთ, ამ მიმომდინარე წელ-ში მოლაპარაკება იქონიონ სამთა-კავშირის ხელ-მეორედ აღდგენის შე-სახებ, რომელიც ამ 1895 წელს და-ჰკარგავს ძალას.

**პარიჟი.** სახელმწიფო საბჭოს გა-რდაწყვეტილების გამო, რომელიც რკინის გზის საზოგადოებების შეღა-ვათს შეეხებოდა, სახალხო სამუშაო-თა მინისტრმა ბარტუმ სამსახურიდგან დათხოვნის თხოვნა შეიტანა; ამ ამ-ბავმა პალატაში დიდი კამათი გამო-იწვია, რადგანაც კენჭის ყრის წინა-აღმდეგი იყო მთელი სამინისტრო. დიუპუიმ და სხვა მინისტრებმა სხდო-მის დარბაზი დაცალეს, ელისეის სა-სახლეში მივიდნენ და საერთო თხო-ვნა წარადგინეს სამსახურიდგან და-თხოვნის შესახებ, კაზიმირ პერიემ თხოვნა მიიღო.

**ბერლინი.** გამოსათხოვნს სადილ-ზედ, რომელიც გრაფ შუვალოვისა-თვის იყო გამართული გვარდეის გრე-ნადერის იმპერატორის ალექსანდრეს სახელის პოლკის ოფიცრების მიერ, იმპერატორმა გრაფს შუვალოვს ძვირ-ფასი პორტსიგარი აჩუქა, რომელსაც დასძინა: „გაძლევ ამ საჩუქარს რო-გორც მეგობარი და არა როგორც იმპერატორიო“.

**პეტერბურგი.** კომისიამ, რომელ-საც კავკასიის სამკურნალო წყლების საქმის გარჩევა ჰქონდა მინდობილი, თავისი მუშაობა უკვე დაამთავრა.

4 იანვარი

**მოსკოვი.** დიდმა მთავარმა სერ-გი ალექსანდრეს ძემ თანხმობა გამო-აცხადა, მეურნეთა კრებისა და მოს-კოვის სამეურნეო გამოფენის მფარ-ველობაზედ ამ 1895 წ. საბუნების-მეტყველო სამეცნიერო კრებების მო-საწყობად უზრუნველყოფისათვის და იმათ დადგენილებათა აღსრულებაში მოსაყვანად ხვალ მოხდება პირველი სხდომა პროფესსორთა სეჩენოვისა, სტოლეტოვისა, პავლოვისა, ანუჩინისა და ტიხომიროვის კომიტეტისა, რომე-... შეასწორებს ამ კრებათა წესდებას.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელ-მმა 4 იანვარს მომხდარს კრებაზედ სიტყვა წარმოსთქვა და დასასრულ ყველა კეთილ-მოაზრე კაცი მოიწვია, ერთნაირი მონაწილეობა მიიღეთ აწ არსებულ სახელმწიფო განწყობილე-ბის შესახებ სხ. და სხ. ბოროტ-გა-ნზრახვათა წინააღმდეგაო.

იმ სადილზედ, რომელიც უცხოე-თის ელჩებს გაუმართა იმპერატორმა, გრაფი შუვალოვი დედოფლის მარ-ჯვნივ მხარეს იჯდა, ხოლო გრაფინა შუვალოვისა იმპერატორის მარცხენა მხარეს.

**პარიჟი.** გაზეთები ერთხმად აღი-არებენ, რომ სამინისტრო არეულო-ბის დაშოშმინება ცოტა გაძნელდე-ბაო. ძველ ჩვეულებათა მიხედვით, ვიდრე ახალის სამინისტროს შედგე-ნას მიანდობდეს ვისმე, პერიე პარლა-მენტისა და სენატის თავმჯდომარეთ მოიწვევს რჩევის საკითხავად.

*) იხ. „ივერია“ № 42 (1894წ.)

**) მე თუმც ვფიქრობდი ეს წიგნი სო-ფლელთათვის ხელ-და-ხელ სათითოოთ ჩა-მომერიგებინა, მაგრამ ბოლოს ვამჯობინე წიგნთ-საწყობის გამართვა, რადგან ამით უფ-რო სამუდამოთ დაცული იქნება საზოგადო-ების წვლილი.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,28 | 7,40 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147,25 | 147,75 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 226½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224,75 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 200,25 |
| პირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 98,50½ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | 98,78 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახი-რურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნე-ულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-ვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი**. 11—12 საათ. სნეულებანი: დედა-თა სქესისა.

**ი. ფ. ზროტასევიჩი**. 12—1 სა-ათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, . 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბა-ვშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეუ-ლებანი: სიფილისი, ვენერიული, ში-ნაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საა-თამდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმი-ურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნა-ლოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტო-რი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართ-ველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანე-იშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.


Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Января 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა